საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბრძანება № 01-08/6

ქ. ბათუმი **04 თებერვალი, 2015 წ.**

სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს წევრის არჩევნების გამოცხადების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ-ს წესდების მე-13, 25-ე მუხლების, ბსუ-ს რექტორის 2012 წლის 7 ივნისის № 01-08/21 ბრძანების, ბსუ-ს რექტორის 2014 წლის 24 ოქტომბრის №01-08/51 ბრძანებისა და ფიზიკა-მათემატიკისა და კომპიუტერულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის 2015 წლის 27 იანვრის №223 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე

ვბრძანებ:

1. გამოცხადდეს ბსუ-ს აკადემიური საბჭოს წევრის (1 წარმომადგენელი - პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი) არჩევნები საბჭოს უფლაბამოსილების დარჩენილი ვადით ფიზიკა-მათემატიკისა და კომპიუტერულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე;
2. აკადემიური საბჭოს წევრის არჩევნები ჩატარდეს 2015 წლის 19 თებერვალს (კენ-ჭისყრა იწყება 10:00 საათზე და მთავრდება 17:00 საათზე);
3. კანდიდატთა რეგისტრაცია იწარმოებს ბსუ-ს საარჩევნო კომისიაში (მისამართი ქ. ბათუმი, ნინოშვილის ქ №35, ოთახი N4) 2015 წლის 5 თებერვლიდან – 2015 წლის 16 თებერვლის ჩათვლით, უქმე დღეების გარდა, 10:00 საათიდან 16:00 საათამდე;
4. ბსუ-ს საარჩევნო კომისიას ეთხოვოს არჩევნების ორგანიზება-ჩატარებისათვის ბსუ-ს წესდებით გათვალისწინებული ღონისძიებების გატარება;
5. ბსუ-ს ფაკულტეტის დეკანს დაევალოს არჩევნებისთვის შესაბამისი ოთახის გამო-ყოფა და ამომრჩეველთა სიების წარდგენა ბსუ-ს საარჩევნო კომისიაში 2015 წლის 2015 წლის 16 თებერვლის ჩათვლით (ბსუ-ს წესდების 45-ე მუხლის შესაბამისად;
6. ბრძანება ჩაბარდეს შესაბამისი ფაკულტეტების დეკანს, განთავსდეს ფაკულტეტის საინფორმაციო დაფასა და ბსუ-ს ოფიციალურ ვებ-გვერდზე;
7. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორის მოადგილე,
ასოც. პროფესორი **ი. ბარამიძე**